

იონ კორტასარი  
Jon Kortazar

# პოეტი გაბრიელ არესტი

(1933-1975)

El Poeta Gabriel Aresti



ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა  
თბილისი 2012

პოეტი გაბრიელ არესტი (1933-1975)  
იონ კორტასარი

El Poeta Gabriel Aresti (1933-1975)  
Jon Kortazar

**Este trabajo forma parte del proyecto de investigación GIC 10/100, IT 10/495 financiado por la Universidad del País Vasco y por el Gobierno Vasco.**

**Liburu honen itzulpenak Eusko Jaurlaritzako Kultura Saileko dirulaguntza jaso du**

წიგნის თარგმანი განხორციელდა ზასკეთის ქვეყნის მთავრობის კულტურის დეპარტამენტის ხელშეწყობით

Itzultzailea: Vladimer Luarsabishvili

მთარგმნელი: ვლადიმერ ლუარსაბიშვილი  
რედაქტორი: ნატალია ვაჩიშვილი  
კომპიუტერული  
უზრუნველყოფა: თინათინ კვიციანი

© 2012 ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

ISBN 978-9941-18-075-0

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა  
ქაქუცა ჩოლოყაშვილის 3/5, თბილისი, 0162, საქართველო

ILIA STATE UNIVERSITY PRESS  
3/5 Cholokashvili Ave, Tbilisi, 0162, Georgia

## სარჩევი

სამი ციფრული ფოტო .....	1
უსაზღვროდ მარტოსული ადამიანი .....	2
მწერლის დაბადება .....	11
პირველი ლექსები (1954-1960) .....	19
სიმბოლისტური პოეზია .....	30
პროზა (1957-1964) .....	42
თეატრი (1961-1965) .....	49
ქვის ციკლი (1964-1970) .....	55
ვნებიანი პიროვნება .....	70
გამომცემელი, მთარგმნელი და გაერთიანებული ბასკური ენის სულისჩამდგმელი .....	79
Antología .....	89
ანთოლოგია .....	100
ბიბლიოგრაფია .....	112

## სამი ციფრული ფოტო

I. გაბრიელ არესტის შესახებ დაწერილ ბიოგრაფიაში ანხელ სელაიეტა იხსენებს დღეს, როდესაც პოეტი გაიცნო ეიბარში. ავტორი გვიყვება, თუ როგორ ჩამოიყვანა გაბრიელი მანქანით ქალაქ ბილბაოში და იგონებს ფრაზას, რომელიც დამშვიდობებისას არესტისგან მოისმინა:

„თუკი ოდესმე გამიხსენებ, იცოდე, რომ იცნობდი ადამიანს, რომელიც მეტად საბრალო და ტანჯული იყო.“  
ეს მოხდა 1966 წელს.

II. როდესაც შაბიერ გერენიომ გადაწყვიტა ჩაეწერა დისკი, რომლითაც ბავშვებს გააცნობდა თანამედროვე ტექნოლოგიურ პროდუქტებს, წითელქუდას ზღაპარი აირჩია და მოითხოვა, რომ ზოგიერთი პერსონაჟის ტექსტი გაბრიელ არესტის წაეკითხა. არესტიმ გადაწყვიტა მგლის როლი გაეხმოვანებინა.

მათთვის, ვინც არესტის იცნობდა, ნათელია, რომ ეს მარტოსული ადამიანის ნილაბი იყო.

III. „ირლანდიელები ტანჯული ერი ვართ. ჩვენი ერთი ნაწილი არასდროს არაფერს ამბობს, რადგან თქმის ეშინია და საკუთარი თავისგან იტანჯება. სხვები ამბობენ რასაც ფიქრობენ ისე, რომ არც დოგმები აღელვებთ და არც რწმენა. ამ უკანასკნელთ ტანჯავვენ დანარჩენები.“

შონ ო'კეისი<sup>1</sup>

---

1. Seán Ó Cathasaigh (1880-1964) – ირლანდიელი დრამატურგი.

## უსაზღვროდ მარტოსული ადამიანი

გაბრიელ არესტის ბიოგრაფიის დაწერაზე მარტივი არაფერია, თუნდაც ისეთი ბიოგრაფიის, რომლის გამოშვებულებასაც წინამდებარე წიგნი ისახავს მიზნად. პოეტის თანამედროვეთა მესხიერებაში მრავალი გაბრიელ არესტი ცხოვრობს, თითოეულ ჩვენგანს საკუთარი გაბრიელ არესტი გვახსოვს, ერთადერთი და განუმეორებელი, რომელსაც, ტრადიციისა და თანამედროვეობის გათვალისწინებით, თავყვანს ვცემთ და ცვალებად სახეს ვანიჭებთ.

გაბრიელ არესტის შესახებ დაწერილი ბრწყინვალე ბიოგრაფია ეკუთვნის ანხელ სელაიეტას, რომელიც ცოტა ხნის წინ მეორედ გამოიცა. თუმცა ვერც ის ასახავს ყველას შეხედულებას.

როდესაც ანდერე არესტი და მე ბილბაოს ბიდებარეიტასა და დონოსტიის კოლდო მიჩელენას სახელობის ბიბლიოთეკებში გაბრიელ არესტისადმი მიძღვნილ გამოფენებს ვაწყობდით, პოეტის ოჯახმა გამოთქვა სურვილი, რომ გამოფენებზე არესტის ინდივიდუალური მახასიათებლები და შინაგანი სამყარო წარმოჩენილიყო. ამ მიზნით, გამოსაფენად ავირჩიეთ ნიკოლას ალსოლას გრაფიკული ნამუშევარი. ნახატზე ჩანს არესტის სახლის მისაღები ოთახი, ნათურები, ყურნალის მაგიდა, ყვავილების ქოთნები და კედელზე დაკიდული სურათი. ეს იყო პოეტის შინაგანი, გამჭვირვალე სამყარო, მეტად ინტიმური გამოსახულება, რომელზეც შეაჩერა არჩევანი ოჯახმა და რომელმაც გამოფენის შუა, ანუ ის ადგილი დაიკავა, სადაც უწინ არესტის ფოტო ეკიდა. ამ ფოტოზე პოეტს გრძელი შავი თმა აქვს, სურათი გადაღებულია წიგნის მაღაზიაში “Galería del Libro”. ასევე გვქონდა

პოეტის სხვა ფოტოც – გადაღებული ლუდის ბარში, მეგობრების წრეში, ბედნიერი სახის გამომეტყველებით, სიგარეტით ხელში. ვადალლილი არესტის საპირისპიროდ, ჩვენ გვსურდა წარმოგვეჩინა არესტი, რომელსაც მთელი ცხოვრება ჯერ კიდევ წინ ჰქონდა.

თუმცა აღმოჩნდნენ ადამიანები, რომლებმაც ფოტო უარყოფითად შეაფასეს, რამაც ჩემი მისამართით (საბედნიეროდ ჩემი და არა არესტის ოჯახის) მკაცრი კრიტიკა გამოიწვია – პოეტის ზოგიერთ თანამედროვეს მიაჩნდა, რომ ფოტოზე არ ჩანდა არესტის მებრძოლი სული.

სხვათა შეხედულებები... მეტად რთულია ყველას შეხედულებებისა თუ მოგონებების გამთლიანება. ყოველთვის, როდესაც გაბრიელ არესტის ხსოვნისადმი მიძღვნილი საღამო იმართება, მასში მონაწილეობას იღებენ პოეტის მეგობრები, მწერლები, მხატვრები, რომელთა მენსიერებაშიც განსხვავებული არესტია აღბეჭდილი, თითოეული მათგანის გონებამ ინდივიდუალური არესტი შემოინახა.

უდავოა, რომ გაბრიელ არესტი მე-20 საუკუნის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პერიოდში ცხოვრობდა – სწორედ ამდროინდელი მოვლენები იყო: კუბის რევოლუცია, ალჟირის დამოუკიდებლობა, ე. წ. ფრანგული მაისი,<sup>2</sup> კენედისა და მართინ ლუთერ კინგის მკვლელობები, სამოქალაქო თავისუფლებისთვის მიძღვნილი ბრძოლები, ე. წ. პრალის გაზაფხული,<sup>3</sup> ფრანკოს დიქტატურის მომაკვდავი ხროტინი, ბასკური ერის ნორმალიზაცია, საზოგადოების სეკულარიზაცია, მარქსიზმი, როგორც სოციალური დაძაბულობის ინტერპრეტაციის ფორმა, ეკონომიკის მოდერნიზაცია, სოციალური და მორალური ფასეულობების განვითარება, ბასკური ნაციონალიზმის ხელახალი ჩამოყალიბება.

2. იგულისხმება 1968 წლის მაისში საფრანგეთში განვითარებული მოვლენები.

3. პოლიტიკური და კულტურული ლიბერალიზაციის პერიოდი ჩეხოსლოვაკიაში (1968 წ.).

ბასკეთში – ამ პატარა ქვეყანაში, რომელიც დიქტატურული რეჟიმის პირობებში თავისუფლებას განსხვავებული გზებით ეძებდა, გაბრიელ არესტი ცხოვრობდა გულითა და სიმძაფრით, გონებითა და ვნებით, სიტყვითა და დებატით, ლექსითა და თეატრალური აგიტაციით.

პოეტის ბიოგრაფიაც კი წინააღმდეგობრივი იყო: მაშინ, როცა მისი ოჯახი მმართველი პოლიტიკური გუნდის მომხრე იყო, არესტიმ ჩაგრული ენის დამცავი გზა აირჩია, დაშორდა ნაციონალისტური ორიენტაციის ოჯახიდან გამოსულ საცოლეს და ემიგრანტთა შთამომავალზე – ამელია ესტებანზე იქორწინა. არესტი იბრძოდა გაერთიანებული ბასკური ენისათვის. პოეტის მიერ ამ საკითხზე წარმოთქმული სიტყვები, გამქირდავი და ზოგჯერ უღმობელი, მითურ ბუნებას ანიჭებენ მას. არესტის ზეგავლენა ახალ თაობაზე დიდი იყო, თუმცა თავად ასაკოვანი არ ყოფილა (იგი 41 წლისა გარდაიცვალა). ყოველივე ჩამოთვლილი პოეტის ბიოგრაფიის სიმბოლურ და მითურ წაკითხვას განაპირობებს... მისი სიკვდილიც კი (ის დიქტატორ ფრანკოზე ცოტა ადრე გარდაიცვალა) თითქოს ავი ბედის სიმბოლო და მწარე ბედისწერის გამოვლინება იყო... ამ სიმბოლოს მიღმა კი მოჩანს მარტოსული ადამიანი, რომელიც სიკვდილის წინ ითხოვდა: „მომეცით ხელიო“; ითხოვდა უკანასკნელ კონტაქტსა და ალერსს, რომელიც ამ ცხოვრებასთან დააკავშირებდა.

გაბრიელ არესტის პიროვნებაში იმდენად დიდი ადგილი ეკავა ქვეყნის სოციალურ ყოფას, რომ მასში რთულია საზოგადოება და პირადულის გამიჯვნა: მისი ჩუმი დაბრუნება სახლში, თამაში ქალიშვილებთან, წუხილი ოჯახის ეკონომიკურ ვითარებაზე... პიროვნული და საზოგადოებრივი ცხოვრების გზაჯვარედინზე გაბრიელ არესტი თითქოს ყველას ეკუთვნის, ყველას აქვს მის შესახებ რაიმე სათქმელი იმაზე, რაც მან გააკეთა და იმაზეც, რაც არ ჩაუდენია. მეგობრები მას მეგობრად იცნობდნენ, რომელიც მხოლოდ მათი საკუთრება იყო და მხოლოდ მათთან იყო ისეთი, როგორიც სინამდვილეში

იყო, ხოლო მკითხველისთვის კი მისი ბუნება მითურია, თანაც, ყოველი მკითხველისთვის, თავისებურად.

თუმცა არის რაღაც, რაც მე მაწუხებს საზოგადოების დამოკიდებულებაში – როდესაც მესმის შეკითხვა, თუ რომელი პარტიის წევრი იქნებოდა გაბრიელ არესტი, ცოცხალი რომ ყოფილიყო.

უნდა აღვნიშნო, რომ განსხვავებული შეხედულებების მიუხედავად, სხვადასხვა სახისა და შთაბეჭდილების ფონზე მე თითქმის არ ვიცნობდი გაბრიელ არესტის.

უნივერსიტეტში პირველ კურსზე ვსწავლობდი. მშობლების სახლიდან ახალი წამოსული ვიყავი და გარკვეულ ეკონომიკურ სირთულეებს განვიცდიდი. ირალაში ვცხოვრობდი,<sup>4</sup> ნათესავების სახლში, თუ სწორედ მახსოვს, Batalla de Brunete-ს ქუჩაზე. ასე მგონია, რომ გაბრიელ არესტი ახლოს ცხოვრობდა და თუმცა სიამოვნებით დავწერდი, რომ მას ქუჩაში ვხვდებოდი, ასე არ ყოფილა. ბედმა არც მეორედ გამიღიმა და პოეტს ვერც მუნდაკაში<sup>5</sup> შევხვდი, სადაც ზაფხულს დონ მარტინ არუსუბიეტას სახლში ვატარებდი.

ერთხელ, როდესაც ბილბაოს ქუჩებში ვსეირნობდი და ჩემი ერთადერთი მეგობრის გამოსვლას ველოდი კოლეჯიდან, წიგნის მაღაზიაში “Verdes” ვიყიდე გაბრიელ არესტის წიგნი „ქვა და ერი“. სწორედ იმ შემოდგომაზე გავეცანი პოეტის შემოქმედებას.

გაბრიელ არესტის ცხოვრებაში ერთადერთხელ, დეუსტოს უნივერსიტეტში შევხვდი. იგივე სემესტრი იყო, ზამთარი ახლოვდებოდა. უნივერსიტეტში გამოაცხადეს, რომ გაბრიელ არესტი და გალისიელი პოეტი მანუელ მარია შეხვედრას გამართავდნენ (ამ შეხვედრის შესახებ არანბურუ ალტუნამ 1972 წლის დეკემბერში გამოაქვეყნა სტატია). არესტის ნათქვამი არ მესმოდა, რადგან მანუელ მარიას საუბარს დიდი ხმაური და უხეში წამოძახილებიც კი მოჰყვა. ამიტომ არესტიმ სიტყვა ვე-

4. ირალა – უბანი ქალაქ ბილბაოში.

5. მუნდაკა – ტერიტორია ბისკაიას ჩრდილოეთ ნაწილში.



ღარ თქვა. მანუელ მარიას სახეზე გაუგებრობა აღბეჭდვოდა, სავარაუდოდ, ისევე, როგორც მე.


რამდენიმე წლის შემდეგ, მწერალთა ერთ-ერთ შეხვედრაზე, მანუელ მარიას შევხვდი და ის სადამო მოვავონე. ხსოვნით კი ახსოვდა, თუმცა მომხდარი ვერაფრით აეხსნა. მას შემდეგ ასე მგონია, რომ ყველაფერი, რასაც გაბრიელ არესტის პიროვნების ირგვლივ ვაკეთებ, იმ შეწყვეტილი სადამოს ნაწილია, იმ ფრუსტრაციისა და იმ უთქმელი სიტყვების შედეგი, რის თქმასაც ლამობდა გაბრიელ არესტი უნივერსიტეტში და რომელთა გაგებასაც მე ვცდილობდი. თუმცა, როგორც უკვე აღვნიშნე, თითოეულ ჩვენგანს საკუთარი არესტი გვყავს და ჩემს წარმოდგენაში არსებული არესტი შეიძლება არ ემთხვეოდეს სხვისას.

ერთხელ ხესუს ალონსო მონტერომ სანტიაგო დე კომპოსტელას უნივერსიტეტის დერეფანში ლექსებისა და პროზაული ტექსტების მცირე კრებული მიჩვენა, რომელიც ჩე გევარას ეძღვნებოდა. ლექსების ავტორთა შორის იყვნენ გაბრიელ არესტი, შაბიერ ლეტენ და ჩატო აგირე<sup>7</sup> – ეს უკანასკნელი იმ დროისათვის უკვე ბასკეთის მთავრობის წევრი იყო...

გაბრიელ არესტის გამოსახულება, რომელიც მე მომწონს, დიონისიო ბლანკოს ეკუთვნის: მარტოსული ადამიანი, სკამის კიდეზე ჩამომჯდარი, კიდეზე და არა ცენტრში, ეული და ზურგით მდგარი, სიჩუმეში. ასეთია იგი ჩემს წარმოსახვაში – არესტი, რომლისაც არ მესმის და რომელსაც ვერ ვხედავ... ეს ნახატი დიონისიო ბლანკომ დახატა 1975 წელს, არესტის გარდაცვალებიდან ექვსი თვის შემდეგ. როდესაც 1984 წლის მაისში ჟურნალმა “Zurgai”-მ არესტის მონოგრაფია მიუძღვნა, დიონისიო ბლანკომ არესტის ახალი სურათი დახატა, სადაც პოეტი

6. შაბიერ ლეტე – ესპანელი მწერალი, თანამშრომლობდა ჟურნალთან “Zeruko Argia”, 1965 წელს ჩამოაყალიბა ჯგუფი “Ez Dok Amairu”, რომელიც მიზნად ისახავდა ბასკურ კულტურის გაცოცხლებასა და განვითარებას.

7. ჩატო აგირე – ბასკეთის მთავრობის წევრი.



Gabriel Aresti dibujado por el pintor Dionisio Blanco para la revista *Zurgai* (1984). Archivo del fotógrafo Mikel Alonso.

დიონისიო ბლანკოს მიერ შესრულებული გაბრიელ არესტის სურათი ჟურნალისათვის "*Zurgai*" (1984 წ.). ფოტო მიკელ ალონსოს არქივიდან.